ახალი ჯვარედინი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

10 - 21 აპრილი 2015 წელი №6 №8088 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

გილოცავთ ლოცვაცნწავოლთან ლოცვაცნწავოლს - ჯრიცფეს ბრნწყინვალე ვოლგომვს!

„ვრვაცოლეს ცა-ვვრლეთ ცა-ცონწვრყვეთილოებვ-ში! ყოველ გრი-გვლს ციმშვილე მოცლევს, ციბნელოს - გვნთივლი ლვ ციხვთოე, ლვცვ-ლოეთ - ვლომოცვ-ლოეთი, ლვცემვს - ციხვნყლი, ყოველ "ჯვარცმვს" - "ვლოგომვ," ყოვ-ელ ჭრიბლოემვს - მიცი მოგვარებვ, ყოველ ცრიმლს - ლიმილი, ყოველი ლვბრყოლებიცვ ლვ ციროყლიც შემლეგ - ყოვლი იყო ჯრიცფე მოლიც!„

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.



დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი
(1705 - 1792 წ.წ.)

დავითიანი

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი
შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი
წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ღვთის საიდუმლო გაგტეხ-
ეს,
გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყ-
იდეს
ისიც კი დანაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამხს-
ნელი, საბელი მოგახვიესო;
მაგრა შეგიკრეს ხელები,
უფალსა არა გთნიესო,
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკზედა გაგცვალეს,
ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს,
გაგლანძღეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ფრჩხილთა გიყარეს ლერ-
წამი, ნუნები აგატკიესო,
ყვრიმალს გცეს თვალებ-
აკრულსა გკითხეს: ვინ
გცემა თქვი ესო?
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ბრალი ვერ - გპოეს, დაგ-
საჯეს, პილატე მოგისიესო;
ბრალობის სისხლი თავზე-
და შვილითურთ გარდინთხ-
იესო.
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ხელ-დაბანილთა შოლტით
გცეს მსხვერპლს სისხლი
შეურიესო,
დაგადგეს ეკლის გვირგვინი
გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს,
ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს,
ხელ-ფეხთა ლურსმანი
გაგიწიესო,
დიდება მოთმინებასა შენ-
სა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
წყალი ითხოე, მოგართვეს

* დასასრული მე-8 გვ.

... და ნათელი იგი შნელსა შინა ჩანს, და შნელი იგი მას ვერ ეწია

აღდგომის დღესასწაული ჯერ კიდევ იმ შორეული ბავშვობიდან მახსოვს, როცა "ქრისტეაღდგა" ერთი სიტყვა მეგონა, ხოლო "ჭეშმა რიტად" – ორი. წითელ პარასკევს ბებიაჩემი ენდროს ჩეჩქვავდა და მას წითელი ხახვის ფურცლებთან ერთად წყალში ალბობდა. შემდეგ ამავე ქვაბში კვერცხებს ფრთხილად ჩააწყობდა და ხარშავდა. სკამზე ვიდექი და დუღილის პროცესს ვაკვირდებოდი. ეს წითელი სითხე და მასში ალუფხული უცნაური შიგთავსი რაღაც აუხსნელ, საიდუმლო შეგრძნებას იწვევდა, დაახლობით ისეთს, როგორსაც ძილის წინ მოყოლილი ზღაპარი.

ყველაზე დიდი ზეიმი მაინც შეღებილი კვერცხების ქვაბიდან ამოღება იყო. კვერცხები წითლად ბზინავდა; იდაყვებზე დაყრდნობილი დიდხანს და თვალგაშტერებით ვუყურებდი მათ.

ბებია და დედა ზოგჯერ ჩიოდნენ, რომ ენდრო ცუდი გამოდგა – ასეთ დროს კვერცხებს არა მუქი წითელი, არამედ ღია ვარდისფერი გადაჰკრავდა... საწყალ ბებიაჩემს აღარც ახსოვდა, ბოლოს როდის იმარხულა. კი ამბობდა, უწინ მარხვას შევინახავდით ხოლმეო, მაგრამ სავარაუდოდ ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ მალე დაანება ამ საქმეს თავი. თუმცა ძილის წინ ღმერთს ყოველთვის შველას სთხოვდა.

აღდგომა დღეს წითელი კვერცხი ბავშვებისათვის ერთგვარი სათამაშო ხდებოდა. ბევრ წითელ კვერცხს ჯიბეებში ვიწყობდი და მეზობლის ბავშვებთან შესაჯიბრებლად მივდიოდი. ვისაც ყველაზე მაგარი კვერცხი აღმოაჩნდებოდა, სწორედ მას მიჰქონდა სახლში "მოგებული" ნადავლი. სამწუხაროა, რომ სწორედ ამ დღესასწაულს უკავშირდება მოტყუებით გამოწვეული ჩემი პირველი იმედგაცრუებაც: ერთმა უფროსმა ბავშვმა პატარებს ყველა კვერცხი დაგვიმტვრია. ჩვენს შორის ყველაზე მოსაზრებულს ეჭვი შეეპარა მის გამარჯვებაში და ბიჭს დაუჟინა, მუჭა გახსენიო. მანვე აღმოაჩინა, რომ მოწინააღმდეგეს ციცარის კვერცხი ჰქონდა და ამიტომაც გვაჯობა. ჭკვიანმა ბავშვმა წაგებული კვერცხების უკან დაბრუნება და ციცარის კვერცხის



გადაგდება მოითხოვა. სამწუხაროდ, სამართლიანობა ვერ აღვადგინეთ. "დიდმა ბიჭმა" სასტიკი და დამცინავი უარი განაცხადა ჩვენი მოთხოვნების შესრულებაზე და ჩხუბის შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ უსუსურობისაგან ყველანი ავტირდით.

XX საუკუნის 70-იან წლებში ბავშვებს უმეტესად სახლში გვნათლავდნენ. კომუნისტებმა ქართველ საბჭოთა ხალხს იძულებით დაავიწყეს ტაძარში სიარულიც, თავიანთი მთავარი ქრისტიანული დღესასწაულიცა და დიდმარხვაც, რომელიც მორწმუნეებს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომასთან შესახვედრად ამზადებს. რა თქმა უნდა, ისიც ცოტას თუ ახსოვდა, რომ კვერცხის წითელი ფერი მაცხოვრის მიერ ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად დანთხეული სისხლის მოსაგონარია, კვერცხი კი სამყაროს მთლიანობისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო.

ღამის ლიტანიობასა და ცისკრის ლოცვაზე დასწრების მაგივრად, აღდგომა დღეს ყველა წინაპრებისა თუ გარდაცვლილი ახლობლების სასაფლაოზე მიდიოდა, წითელ კვერცხს მიწაზე "დააგორებდა" – ეს ჭირისუფლის მთავარ სააღდგომო მოვალეობად მიიჩნეოდა; ზოგი სანთელსაც ანთებდა. ასე გრძელდებოდა ათწლეულების მანძილზე.

მერე, როცა მორწმუნე ადამიანებმა თანდათანობით დაიწყეს ეკლესიაში სიარული, უმაღლესმა სასულიერო პირმა თავის ხალხს შეახსენა: აღდგომა ზეიმია, ამ დღის სიხარულს მიცვალებულები ჩვენთან ერთად იზიარებენ, ხარობენ, ჭირისუფალნი კი მათ უკან, საფლავებში ვაბრუნებთო. ამის შემდეგ საფლავზე ქართველებმა უკვე ორშაბათს იწყეს გასვლა.

ადგილი, სადაც სიკვდილი დათრგუნა

მართლმადიდებელთათვის (ქართველებისთვისაც) ქრისტეს მიერ სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა, მკვდრეთით აღდგომა უფრო დიდი აღტაცების მომგვრელია, ვიდრე მაცხოვრის განკაცება (ქვეყნად მოვლინება) ანუ შობა. აღდგომა მართლმადიდებლური მისტიკის უდიდესი ზეიმია. აღარავინ დავობს იმაზე, რომ მართლმადიდებლობა აღმოსავლური ქრისტიანობაა; ქართველები კი დღესასწაულთა უპირატესობის აღიარებაში უფრო აღმოსავლელები აღმოჩნდნენ, რადგან სიკვდილისადმი დამოკიდებულების ფილოსოფიაც მათთვის თითქოს საზეიმო, ერთგვარად არარაციონალური ელფერით არის აღბეჭდილი. ასეთ მსოფლაღქმაში უთუოდ იკითხება მაცხოვრის მიერ კაცობრიობისათვის ჯვარცმისა და აღდგომის რემინისცენცია. "ვეფხისტყაოსნის" სტრიქონები: "მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვკრებ კიტრად, ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად," – მეორე ადამიანისათვის კეთილშობილური თავგანწირვის ამაღლებული სურვილიც გარკვეულწილად მხიარულ, დღესასწაულებრივ სიკვდილზე მინიშნებაა და სწორედ ზემოხსენებული ფილოსოფიითაა გამსჭვალული; რადგან ის, ვინც სიცოცხლეს სწირავს, სიკვდილის მერე ხელმეორედ იშვება სასუფეველში, ანუ მარადიულ სიცოცხლეს მოიპოვებს. აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის დღე 325 წელს გამართულმა ნიკეის საეკლესიო კრებამ დაადგინა. იგი მოძრავია და ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობის შემდგომ, სავსე მთვარის მომდევნო კვირადღეს, ებრაული პასექის სწორს.

მეცნიერთა აზრით ქრისტიანული აღდგომა სწორედ ებრაული პასექიდან იღებს საწყისს. ამ დღესასწაულს ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ ებრაული მესაქონლე ტომები გაზაფხულზე აღნიშნავდნენ – საძოვრების ნაყოფიერებისათვის ისინი ბატკანს სწირავდნენ მსხვერპლად, ხოლო ძველი წელთ. აღ-ის XIII საუკუნიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ებრაელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, პასექი უმნიშვნელოვანეს საღმრთო დღესასწაულად იქცა. მოგვიანებით კი პასექს შეერწყა ებრაელი ხალხის მხსნელის (მესიის) მოსვლის იდეა.

ადგილი იერუსალიმში, სადაც სიკვდილით სიკვდილი დაითრგუნა, სადაც მამამ ძეს მისი კუთვნილი თასი არ ააცილა, არის გოლგოთა, ანუ აღდგომის სავანე. ახ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეში აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იქ, სადაც ჯვარს აცვეს და დაფლეს მაცხოვარი, ბაზილიკა ააგო. შემდეგ ამ ადგილას მრგვალი ტაძარი აშენდა – წმინდა გოლგოთისა და აღდგომის ეკლესია, ასევე სხვა ნაგებობები. მაცხოვრის აღდგომის სავანე მთელი საქრისტიანოსათვის წმიდათა წმიდა ადგილად მიიჩნევა. მის პატრონობას არა მხოლოდ ქრისტიანი ერები ეცილებოდნენ ერთიმეორეს, არამედ მაჰმადიანებიც. აღდგომის სავანეში დროდადრო ძლიერდებოდა ქართველთა გავლენა. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შემდეგ, მაშინ როცა საქართველო გაერთიანდა და გაძლიერდა, აღდგომის სავანე ქართველთა ხელში იყო. XI საუკუნეში ჩვენს წინაპრებს აქ საკუთარი ეპისკოპოსიც ჰყოლიათ, რომელიც საისტორიო წყაროებში გოლგოთელადაა მოხსენიებული. აქ ქართველ მოღვაწეებს დიდი მწიგნობრობაც გაუჩაღებიათ. "სანახებსა წმიდისა აღდგომისასა" მრავალი წიგნი დაწერილა თუ გადაწერილა.

ქართველები თითქმის მუდამ მიიჩნეოდნენ "მფარველად და ქტიტორად" გოლგოთისა და აღდგომის სავანისა. თუმცა იქ მყოფებს ერთთავად უწევდათ ბრძოლა თავიანთი უფლებებისა და კუთვნილი მიწების დასაცავად. ამას ხშირად წერილობითაც აფიქსირებდნენ (მაგ., "გოლგოთის სვინაქსარი"). "ძეგლი ერისთავთა და სხვა ისტორიული წყაროები" (უცხოური თუ ქართული) მოგვითხრობენ, რომ XIV საუკუნის 20-იან წლებში ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტე მოუპოვებიათ და ერთი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ მას. აღდგომის სავანის – მაცხოვრის საფლავის ყველაზე დიდი მისტიკური საიდუმლო, რომელსაც "ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან", არის ცით გარდამოვლენილი ღვთაებრივი ცეცხლი – კიდევ ერთი დასტური დათრგუნვილი სიკვდილისა, ცოდვების დამარცხებისა, ცათა სასუფევლის არსებობისა და თვით აღდგომის ჭეშმარიტებისა.

რა მოხდა საქართველოში აღდგომის შემდეგ

მცხეთა ერთ-ერთი პირველი ქალაქთაგანი იყო, სადაც ახალ რელიგიას თავიდანვე, ჯვარცმიდან უახლოეს ხანებში გულმხურვალე მორწმუნენი გამოუჩნდნენ.

* დასასრული მე-7 გვ.

კულტურის ეროვნული სტრატეგია - კონფერენცია - შიდა ქართლი

27 მარტს, ქალაქ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია თემაზე საქართველოს კულტურის სტრატეგია: ადამიანები, პროცესები, პრიორიტეტები. კონფერენციას უძღვებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შიდა ქართლში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლები, საინიციატივო ჯგუფები და კულტურის სფეროთი დაინტერესებული პირები. ღონისძიების ფარგლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ წარმოადგინა კულტურის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესის განმსაზღვრელი სამუშაო დოკუმენტია.

გზამკვლევში გათვალისწინებულია ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების შედეგად მიღებული რჩევები და კულტურის სფეროს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების რეკომენდაციები. აღნიშნული გზამკვლევი შემუშავდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში.

კონფერენციის ფარგლებში, კულტურის პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსიები შემდეგ თემებზე : კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვნება და შემოქმედებითი ინდუსტრიები.

კონფერენცია მიზნად ისახავს კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესის

დაგეგმვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას, მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების დაინტერესებას და კულტურა 2025 სტრატეგიის შემუშავების სამოქმედო გეგმის გაცნობას. ასევე, ძირითადი პრობლემების გამოვლენას და მათი გადაჭრისათვის შესაძლო გზების ძიებას. კონფერენციის ფარგლებში გამოთქმული რჩევები და მოსაზრებები, დოკუმენტური სახით განთავსდება სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კულტურის სტრატეგიაზე მუშაობის შედეგად მიღებულ იქნება ორი დოკუმენტი: კულტურის გრძელვადიანი სტრატეგია (2025 წლამდე) და სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლები), რომლებსაც 2015 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს.

კულტურა 2025-ის მიზანია, განსაზღვროს საქართველოში კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც ხაზს გაუსვამს კულტურის თანდაყოლილ ღირებულებასა და მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ეროვნული იდენტობისა და სოციალური ერთობის განმტკიცებაში. სამოქმედო გეგმის მიზანია განსაზღვროს მოკლევადიანი პრიორიტეტები და ქმედებები კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების ასაღორძინებლად. ასევე, აღნიშნული დოკუმენტი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

კულტურული პროცესების მართვის ხელშესაწყობად, კულტურა 2025-ის სტრატეგიის შემუშავების პრინციპებად გამჭვირვალობა და ინკლუზიურობა განისაზღვრა. სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება ღია მონაწილეობის მეთოდით განხორციელდება და მასში ჩართული იქნებიან საქართველოს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების (ხელოვნება, კულტურული მემკვიდრეობა და შემოქმედებითი ინდუსტრიების) წარმომადგენლები. ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი და მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

"ეტალონი" რეგიონული ტურნეს ფარგლებში

შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის მხარდაჭერით მედიაპროექტ "ეტალონი"-ს ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი, რეგიონული ტურნეს ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა.

ზურაბ რუსიშვილი, გოჩა ტყეშელაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მისი მოადგილე ჯამბოლატ ქამხაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ბულაძე ქალაქის №2 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, პედაგოგებს და მშობლებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი ქვეყანაში სოციალურ - საგანმანათლებლო ფონის გაუმჯობესება, წარმატებაზე ორიენტირებული მოსწავლე - ახალგაზრდების მოტივირება და პედაგოგების წახალისებაა.

შეხვედრა კითხვა - პასუხის რეჟიმში წარიმართა, პირველ ნაწილში "ეტალონი"-ს წამყვანმა შეკრებილ საზოგადოებას სატელევიზიო გადაცემასთან დაკავშირებული სიახლეები გააცნო, მოსწავლეებს კითხვები დაუსვა და მათ მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა.

მხარის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა გოჩა ტყეშელაშვილს მადლობა გადაუხადა შეხვედრისა და ზოგადად უმნიშვნელოვანესი პროექტის წარმართვისათვის, ხოლო მოსწავლეებს მოუწოდა იყვნენ აქტიურები, მიიღონ კარგი განათლება, რათა ისინი მომავალში მათზე უკეთესი საჯარო მოხელეები იყვნენ და საკუთარი ქვეყნის წინსვლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გილოცავთ!

ქრისტე აღდგა!

გრძელდება "გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში"

გამყოფი ხაზის პირა სოფლებში გრძელდება "გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში".

ამჯერად ქვემო ჭალის ადმინისტრაციული ერთეულის ორ სოფელში საკორინთლოსა და ახალშენაში სათესლე კარტოფილი დარიგდა. თითოეულ ოჯახს 50 კილოგრამი გადაეცა.

როგორც პროგრამის მენეჯერმა მამუკა მათიაშვილმა აღნიშნა, პროგრამა 30 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

დაგეგმილია ჩითილების გამოყვანა და გადაცემა, ასევე სადემონსტრაციო კენკროვანი ბაღის გაშენება.

"სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავსო"

საერთაშორისო ასოციაცია ,,სანთელ-საკმეველი,, წლებია, საქველმოქმედო ღონისძიებებს ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით და აი, მარტის დასაწყისში ფონდის დამაარსებლები (რუსუდან დვალიშვილი და რუსუდან ნაკაშიძე) კასპის მუნიციპალიტეტშიც ჩამოვიდნენ, მათ შეზღუდული შესაძლებლობების პირებს საჩუქრად ეტლები (22 ეტლი) გადასცეს. ეტლებთან ერთად ასოციაციამ 250 სასაჩუქრე პაკეტიც ჩამოიტანა, პაკეტში მოთავსებული სასკოლო ნივთები საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებს გადაეცა.

ასოციაციის ხელმძღვანელთა განმარტებით ჰუმანიტარული დახმარება შემდგომშიც გაგრძელდება. აი, ამ თემასთან დაკავშირებით გვესაუბრება საქველმოქმედო ასოციაცია ,,სანთელ-საკმევლის,, თავმჯდომარე რუსუდან ნაკაშიძე.

— საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაცია "სანთელ-საკმეველი" დაარსდა 2012 წლის აპრილში, სხვათა შორის, ფონდის დაარსების ინიციატორები ვიყავით მე და ჩემი ქალიშვილი რუსუდან დვალიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საქველმოქმედო ფონდში, ხოლო მე, თვითონ, 17 წლის მანძილზე ვიყავი სსო "ხსნის არმიის" ოფის-მენეჯერი და ჰუმანიტარული დახმარების კოორდინატორი.

ჩვენი იქ ყოფნის მრავალწლიანი გამოცდილება დაგვეხმარა სწორად შეგვესრულებინა ეს მეტად საპასუხისმგებლო და რთული სამუშაო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მუშაობის პროცესში მუდამ გვახსოვს დიდი ილიას ბრძნული შეგონება "სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავსო", ჰოდა, სწორედ ამ მრავლისმთქმელი სლოგანით იღვწის ჩვენი ასოციაცია.

— ქალბატონო რუსუდან, რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობთ, კონკრეტულად რომელი კატეგორიის ფენას ეხმარება თქვენი ფონდი?

— ჩვენი ასოციაცია ეხმარება საქართველოს მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებულ და მიუსაფარ ნაწილს, როგორიც არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარტოხელა მოხუცები, მრავალშვილიანი ოჯახები და უდედმამო ბავშვები, აგრეთვე, ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ლტოლვილები, ერთი სიტყვით, ასოციაცია მრავალმხრივ ჰუმანიტარულ დახმარებას ეწევა და ამას ჩვენი მოსახლეობა ძალიან კარგად გრძნობს და აფასებს კიდეც.

— საინტერესოა ალბათ, საიდან მოდის ჰუმანიტარული დახმარება, ვინ არიან ძირითადად თქვენი დონორები?

— დაახლოებით წელიწადში 2-ჯერ ჩამოგვაქვს ტვირთები საზღვარგარეთიდან, ბევრი უცხოელი დონორი გვიმართავს ხელს და სწორედ მათი შემწეობით უკვე დავეხმარეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გაჭირვებულ მოსახლეობას, ვიყავით დაბა ყაზბეგში, ჩხოროწყუსა და მის მიმდებარე სოფლებში, დაბა ბედიანში, დახმარება გადავეცით თბილისის გაჭირვებულ მოსახლეობას.

მარტო საზღვარგარეთ კი არა, საქართველოშიც ვეძებთ დონორ ორგანიზაციებს.

დონორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანიზაცია, ან კერძო პირი, ვისაც სურს განახორციელოს ქველმოქმედება და გვერდში დაუდგეს გაჭირვებულ ადამიანს, სამწუხაროდ ამ მხრივ, ჩვენი მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კომპანია დაგვეხმარა, მაგალითად, ლუდსახარში "ნატახტარი" და "ბარამბო." ჯერჯერობით, ჩვენი ძირითადი დონორები საზღვარგარეთ არიან.

— ქალბატონო რუსუდან, მათ შორის ვის გამოყოფდით, შეგიძლიათ დაასახელოთ ყველაზე მსხვილი დონორი ორგანიზაცია?

— დიახ, ძალიან კარგია, რომ ეს შეკითხვა დამისვით, მინდა იცოდეთ, რომ უცხოური საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან ამჯერად, ყველაზე დიდი ჰუმანიტარული დახმარება გაგვიწია შვედეთის საქველმოქმედო დონორმა ორგანიზაციამ. ეს გახლავთ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია "ჰუმენ ბრიჯი," რომლის მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება განაწილდა მხოლოდ კასპის მუნიციპალიტეტში.

— რატომ მხოლოდ კასპი, რის გამო დაეხმარეთ აქაურ მოსახლეობას?

— მოგეხსენებათ, ჩვენი ფონდი ყველას ეხმარება, მაგრამ კასპის რაიონს ჩემს მეორე ადგილის დედად მივიჩნევ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აგერ უკვე სამი ათეული წელია სამუდამოდ დავუახლოვდი აქაურებს.

ჩაჩუბეთში პატარა აგარაკი გვაქვს, ყოველ ზაფხულს აქ გვიწევს ყოფნა, შევეჩვიეთ აქაურობას, მოსიყვარულე და ალალი ხალხი ცხოვრობს აქ. ახლა შესაძლებლობა მქონდა დახმარება გამეწია ჩემი თანამემამულეებისათვის და ეს დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით გავაკეთე. თანაც, გამიადვილდა ამ ყველაფრის გაკეთება იმის გამო, რომ რამდენჯერმე შევხვდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ილია ზაქარიაძეს, ჩვენ ერთად გავიარეთ მთელი რიგი საკითხები, თუ რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა გაჭირვებულთა დასახმარებლად. ჩვენი აზრი მოვახსენეთ მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს, რომელმაც უპრობლემოდ მოაგვარა ორგანიზაციული საკითხები, ამ საქმეში დახმარება გამიწია აგრეთვე გამგებლის მოადგილემ ზაზა მოსიაშვილმა, საკრებულოს დეპუტატებმა: გია დარბიაშვილმა და ვახტანგ ბეჟიტაშვილმა, გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დალი დავითაშვილმა. მინდა აღვნიშნო თამარ ნაკაშიძის თანადგომაც, ეს ქალბატონი გახლავთ სოფელ ჩაჩუბეთის მებაღეობის კოოპერატივის თავმჯდომარე, რომელმაც ითავა ამ აქციის განხორციელება. ასე, რომ ერთმანეთის დახმარებითა და თანადგომით ძალიან ოპერატიულად განხორციელდა ეს საქველმოქმედო აქცია. ამდენად, ძალიან საჭირო და მასშტაბური ჰუმანიტარული დახმარება ჩამოვიდა კასპში.

ქალაქსა და სოფლებში მოხუცებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საჩუქრად გადაეცა ინვალიდის ეტლები, ხელჯოხები, ყავარჯნები, ხოლო საჯარო სკოლების მოსწავლეებს დაურიგდა სასაჩუქრე პაკეტები.

— ქალბატონო რუსუდან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოსახლეობა მადლიერია მიღებული ჰუმანიტარული დახმარებით, როგორ ფიქრობთ, თქვენი ფონდი კიდევ გააგრძელებს ასეთი სახის დახმარებას?

— რა თქმა უნდა, საქველმოქმედო ასოციაცია "სანთელ- საკმეველი" აღებულ კურსს არც ახლა გადაუხვევს, სამომავლოდ ფონდი კიდევ ბევრი სიკეთის განხორციელებას გეგმავს და რასაკვირველია, კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გაჭირვებული ადამიანები ყოველთვის უნდა ელოდნენ ჩვენს მიერ გაწეულ დახმარებას.

 რ. ხეჩუაშვილი.

გილოცავთ!

ქრისტე აღდგა!



გამოგვეხმაურეთ

შეუცნობელი, მოულოდნელი, საინტერესო...

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. ხშირ შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ თუ იგი საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი". საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ "ფენომენს" და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

ყოვლად დიდ შაბათს

სასწაული მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლისა პირველად მოიხსენიება IV საუკუნეში, ამ მოვლენაზე მოგვითხრობენ IX საუკუნის არაბი ისტორიკოსები მასუდი და ბირუნი. ისევე, როგორც ახლა, ძველ დროშიც ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე ყოველ დიდ შაბათს გარდამოდიოდა ზეციდან. ცეცხლის ზეციურობა იქიდანაც ჩანს, რომ გარდამოსვლიდან რამდენიმე წუთი არაფერს წვავს, მცირე დროის მერე კი ჩვეულ თვისებას იძენს. ეს სასწაული, ჩუმი სიხარული მთელი მართლმადიდებელი სამყაროსი, აშკარა ნიშანია ღვთისაგან, რომ იგი ჩვენთანაა.

მაგრამ 1579 წელს, სულთან მურად მართლის მმართველობისას, სომეხმა მონოფიზიტებმა მოისყიდეს იერუსალიმის ფაშა, რომ დიდ შაბათს ქრისტეს აღდგომის ტაძარში მარტო ისინი ყოფილიყვნენ. მართლმადიდებლები ტაძარში არ შეუშვეს. ისინი, პატრიარქ სოფრონიოს IV-სთან ერთად, ტაძრის დაკეტილი კარების წინ, მოედანზე იდგნენ, აცრემლებულნი და გულშემუსვრილნი

იმედოვნებდნენ, მადლმოსილი ცეცხლი ერეტიკოსების ხელთაგან მაინც მიეღოთ.

მათ იანიჩრები თვალს ადევნებდნენ, მოსალოდნელი უწესრიგობისგან თავის დასაზღვევად. უფლის საფლავის ტაძრის გვერდით დაახლოებით იმავე სიმაღლის შენობა დგას. ამ შენობის ზედა სართულის ვერანდაზე, სადარაჯო პუნქტში, იდგა ოფიცერი ომარი თავის ჯარისკაცებთან ერთად.

ნათელი და მოწმენდილი იყო აპრილის ის დღე. გადიოდა საათები. უკვე კარგა ხანია გაიარა იმ დრომაც, როცა მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის ხოლმე (ჩვენი დროით დაახლოებით დღის ორ საათზე), მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. სომხები დიდხანს ელოდნენ სასწაულს, მათი კათოლიკოსი გულმოდგინედ ლოცულობდა უფლის საფლავის წინ, მაგრამ ღვთაებრივი ცეცხლი არ გარდამოდიოდა. უეცრად მეხმა იქუხა, ტაძრის ერთ-ერთი მარმარილოს სვეტი გასკდა და ამ ბზარიდან ცეცხლი გამოვარდა, ტაძრის წინ მლოცველი მართლმადიდებელი პატრიარქი წამოდგა და თავისი სანთლები აანთო. მისგან მიიღეს მადლმოსილი ცეცხლი ყველა მართლმადიდებელმა და ტაძარში მოსულმა სხვა აღმსარებლებმა.

ყველას უხაროდა, მართლმადიდებელი არაბები სიხარულით ხტოდნენ და ყვიროდნენ: "შენ მხოლოდ ხარ ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე! მხოლოდ ჩვენი რწმენა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა რწმენაა ჭეშმარიტი". ისინი მთელ იერუსალიმში დარბოდნენ, ყვიროდნენ და ხმაურობდნენ. მოდარაჯე თურქული ჯარი განაცვიფრა და შეაძრწუნა ამ სასწაულმა. ყველა დაიბნა. ამ დროს ომარმა ხმამაღლა დაიძახა: "დიდია მართლმადიდებელთა რწმენა და მეც ქრისტიანი ვარო!" წამისყოფაში მრისხანებისაგან სახე აერიათ თურქებს და მას მისცვივდნენ. ომარი თამამად გადახტა ათ მეტრზე მეტი სიმაღლის აივნიდან დაბლა, ქრისტიანებთან. საკვირველი უშიშრობა, რაც ახასიათებს ქრისტესთვის ყველა მოწამესა და აღმსარებელს, მოწმობა იყო იმისა, რომ მან ჭეშმარიტად ირწმუნა ქრისტე, "რამეთუ არა მომცა ჩვენ ღმერთმან გული მოშიშებისაი, არამედ ძლიერებისა და სიყვარულისა და სიწმიდისაი".

ომარი უვნებლად დაეცა მიწაზე და სასწაულებრივად გადარჩა. თანამემამულეებმა შეიპყრეს და უმალ თავი მოჰკვეთეს, ეშინოდათ, მისთვის სხვებსაც არ მიებაძათ. თავისი სისხლით მონათლული წმინდა ომარის სხეული კი ტაძრის წინ მოედანზე დაწვეს.

მართლმადიდებლებმა წმინდა ომარის ფერფლი და ძვლები მოაგროვეს, ლარნაკში მოათავსეს და სათაყვანებლად დააბრძანეს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტერში, სადაც დღემდე საკვირველ კეთილსურნელებას გამოსცემს. იერუსალიმის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ომარი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 19 აპრილი (2 მაისი ახ. სტ.) დააწესა.

გვერდებგამურული გახეთქილი მარმარილოს სვეტი (ამ სვეტზე უძველესი წარწერაა გამოსახული) დღემდე დგას აშკარა ნიშნად ღვთის ძალისა, რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელი, ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოების დროს ვლინდება.

ალდგომის დღესასწაულზე

ჩვენი ბავშვობის ერთ-ერთი უგემრიელესი მოგონება, სწორედ სააღდგომო კვერცხს უკავშირდება. მანამ სანამ გააცნობიერებ, რატომ ღებავენ ბებოები თეთრ კვერცხს წითლად, გემრიელად რომ მიირთმევ და მეზობლის ბავშვებში თავს იწონებ ყველაზე "მაგარი" კვერცხით, სააღდგომო დღესასწაულში ჩართული მხოლოდ ემოციებს აყოლილი გრძნობ, რომ რაღაც საკრალურად მნიშვნელოვანი ნივთის მფლობელი ხარ. ენდროში "შეღებილი" ბავშვური ხელები კი დროთა განმავლობაში შენი მოუსვენარი ბავშვობის ცალკე თავგადასავალი ხდება.

წითელი კვერცხი სააღდგომო სუფრის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია, რომელსაც ვნების პარასკევს ღებავენ, ნიშნად ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსახსნელად დაღვრილი სისხლისა. გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა. ტიბერიუსმა უპასუხა, მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეიცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის შეღებვა ტრადიციად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფხვნილი არსებობს, კვერცხის შეღებვის ყველაზე ნაცად და გამართლებულ საშუალებად დღემდე ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. გარდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთაა, ენდრო კვერცხს განსაკუთრებულ გემოს და არომატსაც ანიჭებს. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ენდროთი შეღებილი სააღდგომო კვერცხი გამორჩეულად გემრიელია და დიდი ხნის განმავლობაში არ ფუჭდება.

სააღდგომო კვერცხის მოხატვა უამრავი ადამიანის ჰობი გახდა, თუმცა, ცნობილი იუველირის, ფაბერჟეს ქმნილებებს ბადალი დღემდე არა ჰყავს. მის მიერ დამზადებული ულამაზესი დეკორატიული კვერცხები სპეციალურ ყუთებში ინახებოდა და საჩვენებლად მხოლოდ აღდგომის დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ფაბერჟე ასლს არასოდეს აკეთებდა. სწორედ ამიტომაა მისი თითოეული ნამუშევარი უნიკალური. ცნობილი იუველირის 47 კვერცხი დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში ინახება.

სააღდგომო სუფრის კიდევ ერთი ატრიბუტია პასკა, რომელსაც ქრისტიანები მაცხოვრის აღდგომის რწმენის ნიშნად აცხობენ. სიმბოლურად იგი გოლგოთას აღნიშნავს, მთას, სადაც აწამეს და ჯვარს აცვეს ქრისტე. სააღდგომო პასკა ფორმით არტოსს წააგავს, სადღესასწაულო პურს, რომელსაც ეკლესიაში აღდგომის დღეებში არიგებენ, თუმცა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ ტკბილი და ნოყიერია. სააღდგომო პასკაში აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ქიშმიში, სანელებლები და ცხიმი – ეს არის იმ დიდი დღესასწაულის ხორციელი გამოხატულება, რასაც კაცობრიობა აღდგომის ბრწყინვალე დღეებში განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პასკის შეძენა ბევრგან შეიძლება, შინ გამომცხვარს სულ სხვა გემო და ხიბლი აქვს. პროცესი საკმაოდ შრომატევადია, თუმცა, დღესასწაულის განცდას ამძაფრებს. შედეგი კი იმდენად სასიამოვნოა, წვალებად ნამდვილად ღირს.

ძველად სადღესასწაულო სუფრას ამშვენებდა მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, წითელი კვერცხები, ქადა, ხაჭაპური, შოთის პური, ყველი, მწვანილი, მწნილი, ხილი და რასაკვირველია, წითელი ღვინო.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელს სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილით და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს "გიორგონთობას" ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ – ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ სამეგრელოში. აღდგომის დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა. კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ, აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.

გილოცავთ!

ქრისტე აღდგა!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავეპისკოპოსის, ჯიჯინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ჯანხოინეჯა მთავლეჯულთა სულის მოსახსენებლად



ყოველი ოჯახი მძიმედ განიცდის უახლოესი წევრის გარდაცვალებას და გამოხატავს თავის წუხილს, მაგრამ ბოლო დროს ეს დამახინჯებული ფორმით ვლინდება.

ხშირია შემთხვევა, როცა ახლობლები მრავალი წლის ან მთელი სიცოცხლის მანძილზე არ იხდიან შავ სამოსს და ჩამოშორებულნი არიან ყოველდღიურ ცხოვრებას.

უსაზღვრო გლოვა, გოდება, ტირილი მეტყველებს ადამიანის ურწმუნოებაზე, იმაზე, რომ მას არ სწამს ღმერთი, არ სწამს სულის უკვდავება და თვლის, რომ გარდაცვლილი სამუდამოდ დაკარგულია მისთვის, ამით კი ჭირისუფალი უდიდეს ცოდვას იღებს თავის თავზე, რადგან იგი არასწორი ქცევით მეტად ამძიმებს გარდაცვლილის უკვდავ სულს, ამძიმებს თავისი ოჯახის ცხოვრებას.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ადამიანის გარდაცვალება არ ნიშნავს მის მოსპობას. ადამიანის სული ცოცხალია, უკვდავია და იგი მარადიულ ცხოვრებაში იმკვიდრებს იმ ადგილს, რასაც თავისი სარწმუნოებითა და ქცევით იმსახურებს.

მიწიერი ჩვენი ცხოვრება არის მომზადება მარადიულობისათვის, იგია თითოეული ჩვენთაგანისათვის უდიდესი გამოცდა.

ბედნიერია, ვინც მართლმადიდებელი სარწმუნოებით, სიყვარულითა და კეთილი საქმით წარდგება ამ გარდაუვალი დღის წინაშე და მართალთა სავანის მკვიდრი გახდება.

ხშირია შემთხვევა, როცა კეთილი ადამიანი ტოვებს ამ წუთისოფელს, ანდა მცირე ასაკისა შეერთვის მარადიულობას, ამაშიაც ჩვენ უნდა დავინახოთ განგება უფლისა; ღმერთს ისინი ნაკლებად ცოდვილნი მიჰყავს თავისთან.

ყოველივე ამის გამო განვაჩინებთ:

1. ავადმყოფს აუცილებლად უნდა მოუყვანოთ მოძღვარი აღსარებისა და ზიარებისათვის, რადგან წმინდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა და ხშირია შემთხვევა, როცა წმინდა ზიარებით სასწაულებრივად განკურნებულა ადამიანი; ასევე, მეტად კარგია ავადმყოფისათვის ზეთის კურთხევა.

2. გარდაცვალების შემთხვევაში პირველივე დღიდან დასაფლავებამდე მიცვალებულის თავთან ჩაუქრობლად უნდა ენთოს სანთელი და კანდელი, უნდა იდგეს ხატი, ხორბალი, წყალი, ღვინო, მარილი და დღედაღამ ახლობლების მიერ უნდა იკითხებოდეს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები.

3. ფსალმუნის კითხვა (თუნდაც დღეში მხოლოდ ერთი კანონის) სასურველია, დასაფლავების შემდეგ ერთი წლის მანძილზე მაინც გაგრძელდეს.

4. გარდაცვლილს გულზე უნდა ეკიდოს ნაკურთხი ჯვარი.

5. თუ მიცვალებულის ახლობლები მოუნათლავია, კარგია თუ ისინი გარდაცვლილის დასაფლავებამდე მოინათლებიან; თუ მიცვალებულია მოუნათლავი, მისი მონათვლა არ შეიძლება.

6. საერთო პანაშვიდის დროს სასურველია საერო სიმღერებისა და მუსიკის ნაცვლად შესრულდეს საეკლესიო საგალობლები.

7. მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან 3-5 დღის განმავლობაში.

8. მიცვალებულს არ უნდა ჩაატანოთ ზედმეტი ტანსაცმელი და სხვა რაიმე ნივთი.

9. დასაფლავების დღეს, დილით ან წინა ღამეს მოძღვარმა უნდა აუგოს წესი მიცვალებულს და უკურთხოს საფლავის მიწა, ღვინო, პური, მარილი, წყალი.

10. დასაფლავების დღიდანვე უნდა დაიდგას მღვდლის მიერ ნაკურთხი დროებითი ჯვარი (ხის, ლითონის ან სხვა მასალის), რადგან უჯვარო საფლავს, წმინდა მამების სწავლებით ეშმაკი ეპატრონება.

11. გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ მისი სულის მოსახსენებლად მზადდება მოკრძალებული ქელეხი მხოლოდ უახლოესი ნათესავებისა და ახლობლებისათვის, ქელეხი არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს.
უკეთუ ადამიანი მარხვის დროს გარდაიცვალა, საჭმელი მზადდება მხოლოდ სამარხვო.

12. თუ ადამიანი გარდაიცვალა ხსნილში, კარგია, თუ მისი ახლობლები გარდაცვლილის დასაფლავებამდე შეინახავენ მარხვას.

13. გარდაცვალებიდან 39-ე დღეს მოძღვარმა უნდა შეასრულოს პანაშვიდი, ხოლო მეორმოცე დღეს და წლისთავზე მიცვალებულისათვის უნდა დამზადდეს საკურთხი და ეკლესიაში შესრულდეს შეკვეთილი წირვა და პანაშვიდი.

14. მიცვალებულის ორმოცი უნდა გადაიხადოს გარდაცვალებიდან ზუსტად მეორმოცე დღეს, ან წინა დღეს, რადგან მეორმოცე დღეს ხდება გარდაცვლილის სულის დამკვიდრება მისთვის განკუთვნილ სავანეში.

წლისთავიც უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ორივე შემთხვევაში მიცვალებული სულის საოხად გამზადებული საჭმელი მარხვაში უნდა იყოს სამარხვო, ხსნილში – სახსნილო.

15. ყოველ წელიწადს მიცვალებულთა ხსენების დღეს მისი ახლობლები უნდა ამზადებდნენ საკურთხს, რომელსაც დილით, წირვის დაწყების წინ მიიტანენ ტაძარში პანაშვიდისათვის.

16. მეტად კარგია თუ მიცვალებულის ახლობლები გააკეთებენ საკურთხს და ეკლესიაში მოძღვარს შეასრულებინებენ პანაშვიდს გარდაცვლილის დაბადების დღის, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეებში. საკურთხი, ზეთი, ღვინო, წანდილი ან კოლიო (სხვა საჭმელიც შეიძლება).

17. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიცვალებულისათვის, თუ მისი ახლობლები ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ესწრებიან წირვა-ლოცვას, ეზიარებიან და სეფისკვერს აგზავნიან საკურთხეველში გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად.

18. ქრისტიანის საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული, მიცვალებულის სულისთვის უკეთესია, თუ თანხა გაჭირვებულთ დაურიგდებათ.

19. მოძღვრის მიერ საფლავის კურთხევა კარგია მიცვალებულთა მოხსენების დღეებში.

20. ორმოცი დღის შემდეგ გარდაცვლილის ტანსაცმელი და ნივთები უნდა დაურიგდეს გაჭირვებულთ.

21. თვითმკვლელობით აღსრულებულის და მოუნათლავისათვის საეკლესიო წესების შესრულება საეკლესიო კანონების თანახმად აკრძალულია. მათ სახელზე მხოლოდ მოწყალება შეიძლება გაიცეს, საერთოდ მიცვალებულის სახელზე მოწყალების გაცემა მეტად კარგია.

22. თუ ფსიქიურად დაავადებული ადამიანი მოიკლავს თავს, მისთვის საეკლესიო კანონის თანახმად საეკლესიო წესების შესრულება ნებადართულია..

23. გარდაცვლილის ახლობლებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, ატარონ შავი ტანსაცმელი 40 დღე ან არაუმეტეს 1 წელი.

ერთი წლის შემდეგ შავი სამოსი აუცილებლად უნდა გაიხადოს ყველამ, შვილის, მეუღლის, ან მეტად ახლობელი ადამიანისათვის სიყვარული უნდა გამოიხატოს არა შავი სამოსის ტარებით, არამედ ლოცვით და მიცვალებულის სულისთვის ღვთის სათნო კეთილ საქმეთა აღსრულებით.

გილოცავთ!

ქრისტე აღდგა!

ბუჭრიკა – წელიწადის ძვირფასი დრო ულოდნელად თქვენს ეამოხმაურება. ამრიქანდით ოდაკ-ციაში, ეაეგეაცანით თქვენი ნაბუქეგრები (წაბმოადეინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაეცანით ინინი სახოვადოებას.

მკითხველს შეუძლია მიგვწეროს შემეცნებითი-გასართობი მასალები, სხვადასხვა ყოფისვრილები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიგვმართოს მისამართზე – ყასბი, სასყიძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

* **დასასრული**

პირველ საუკუნეში მცხეთაში ისრაელის მიწიდან დევნილ ებრაელთა მრავალრიცხოვანი თემი სახლობდა. მცხეთელი ებრაელები ხშირად მოგზაურობდნენ ისტორიულ სამშობლოში. ისინი ღირსეული მოქალაქეები იყვნენ, თვით ქართლის სამეფო კარზე დაფასებულნი. სწორედ წარჩინებული ებრაელები იქცნენ ქართლში პირველ ქრისტიანებად.

მრავალი წყაროს დამოწმების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: "ცხადია, რომ ქრისტიანობა საქართველოში ადრითგანვე უნდა გავრცელებულიყო, გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე იგი IV საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა ცნობილი".

I საუკუნეში მეფე ჰეროდეს მოწოდებით მთელ მსოფლიოში გაბნეულ ებრაელთა მრავალი წარმომადგენელი იერუსალიმში გაემგზავრა, რათა ენახათ "ცრუ წინასწარმეტყველი," რომელიც საკუთარ თავს სამყაროს მხსნელსა და ღმერთის ძეს უწოდებდა.

მანამდე ქართველ ებრაელებს უკვე სმენოდათ, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემელმა მონათლა და ამ დროს სასწაულებიც მოხდა: მდინარეები აღმა წავიდნენ, ზღვის მიმოქცევა შეწყდა, ამოძრავდნენ მთები და სხვა. ჰეროდეს სურდა ეს კაცი არა მხოლოდ იუდეის მცხოვრებთ შეეჩვენებინათ, არამედ ისრაელის სხვა ტომთა შთამომავლებსაც. ამიტომაც სხვა ქვეყნებს შეფარებული ებრაელები იერუსალიმს გაემგზავრნენ.

"შატბერდის კრებულის" მიხედვით ქართველი ებრაელები მაცხოვრის ჯვარცმას დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ეს ორი ადამიანი შემდგომში ქართული საისტორიო მწერლობის, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისა თუ ფრესკული მხატვრობის პერსონაჟებად იქცა. ელიოზ მცხეთელის მოხუცმა დედამ შვილის გამგზავრებამდე იცოდა, რომ აზდა ბიბლიური წინასწარმეტყველება და ღმერთი განკაცდა... იერუსალიმში მიმავალს იგი შეევედრა, რომ ელიოზს არამც და არამც არ ჩაედინა მომაკვდინებელი დანაშაული და იესო ქრისტეს ჯვარცმაში არ გარეულიყო, რადგან ის იყო მხსნელი სოფლისა, ძე ღვთისა.

როგორც საისტორიო წყაროები იმეორებს, ელიოზს მართლაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია მაცხოვრის ჯვარცმაში. ქართლიდან წარგზავნილი ებრაელები იმ მოვლენის დამკვირვებლებად გვევლინებიან, რომელმაც სამყარო შეცვალა...

შემდეგ კი, როცა "კვართსა ... ზედა განიგდეს წილი," მასში ელიოზ მცხეთელიც გაერია. ხელთუქმნელი კვართიც სწორედ მას ერგო. ქართველი ებრაელები ქართლისკენ გამოემართნენ და ქრისტეს აღდგომიდან ძალიან მალე სიწმინდე მცხეთას მოაბრძანეს. ელიოზის მოხუცი დედა გარდაცვლილიყო. მოგზაურს შინ მართლმორწმუნე და – სიდონია ელოდებოდა. ელიოზ მცხეთელმა მას უფლის შესამოსელი გადასცა. ქალმა კვართი გულზე მიიხუტა, ემთხვია და ცრემლით დაალტო, მერე კი უმალვე სული განუტევა. მას ისეთი ძალით ეპყრა ხელთ ქრისტეს სამოსი, რომ მისი გამორთმევა ვერავინ შეძლო.

ხელთუქმნელ კვართს თვით მეფეც (ქართლის ცხოვრების ცნობით ადერკი, იგივე მიჰრდატი) მოუხიბლავს, მაგრამ სასწაულებრივად ჩაბღუჯული ქსოვილი ვერარა ძალამ განაცალკევა ებრაელი ქალის ხელთაგან. ამიტომ სიდონია ძმამ ქრისტეს პერანგთან ერთად დამარხა. საფლავზე განსაცვიფრებლად მძლავრი და ლამაზი ხე ამოვიდა.

ქართლის ცხოვრება მას ლიბანის ნაძვს უწოდებს, რომელიც უიშვიათეს კეთილსურნელებას აფრქვევდა. იქ, სადაც ოდესღაც ებრაელთა სასაფლაო იყო, სამი საუკუნის შემდეგ უკვე სამეფო ბაღი და სასახლე მდებარეობდა. სწორედ ეს ადგილი დასახა წმ. ნინოს რჩევით ეკლესიის ასაშენებლად ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ – მირიანმა.

... და ნათელი იგი შნელსა შინა ჩანს, და შნელი იგი მას ვერ ეწია



კვართის დაფვლის ადგილზე ამოსული ხისაგან ამ ქვეყნის პირველი ქრისტიანული ტაძარი, სვეტიცხოველი აშენდა. იგი მაცხოვრის საფლავზე აღმართული ეკლესიის სიმბოლოდ იქცა.

ზაზა დოდაშვილი.

საღდგომო წერილი ,,კეხურას,, მკითხველს

აღდგომის დღესასწაულს ყველა ქრისტიანი დიდი სიხარულით ხვდება. მათ იციან, რომ ქრისტე სამი დღის განმავლობაში აკლდამაში ესვენა და შემდეგ აღდგა. საგანგებო წირვა-ლოცვისა და ლიტანიობის გარდა, აღდგომას ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად აღნიშნავენ.

ალბათ, იცით, საქართველოში ქრისტიანები კვერცხებს წითლად ღებავენ. მართლმადიდებლები ფიქრობენ, რომ მხოლოდ წითელი ფერია დასაშვები. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი უცხო ქვეყნებში კვერცხებს სხვადასხვა ფერადაც ღებავს.

ჩვენს ქვეყანაში კვერცხების შესაღებად ენდროს იყენებენ. უფროსები წინასწარ მიდიან ბაზარში ან მაღაზიაში და ამ უცნაურ მცენარეს ყიდულობენ, რომელიც მოხარშვისას მუქ წითელ ფერს უშვებს. ენდროს გასაოცარი სუნი აქვს, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც მადისაღმძვრელი. ენდროს სუნი მიწის და სხვადასხვა ბოსტნეულის სურნელს ერთად მოგაგონებს, მაგრამ სინამდვილეში, არც ერთის მსგავსია.

როცა ენდრო ადუღდება, უფროსები ქვაბში კვერცხებს აწყობენ. ბავშვების საყვარელი საქმიანობა მათი ყურება, ანდა მოხმარებაა. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა კვერცხების წითლად შეღებვაში მონაწილეობის მიღება, თუმცა, მდუღარე წყალს უფრთხილდი.

როცა კვერცხები შეიღებება, უფროსები მას სამი დღის განმავლობაში ინახავენ. ეს იმიტომ, რომ კვერცხები არა აღდგომას, არამედ წითელ პარასკევს, აღდგომამდე სამი დღით ადრე იღებება. ყველაზე რთული ახლადშეღებილი კვერცხების ყურებაა, რადგან, მათ ხელი არ უნდა ახლო. აღდგომის დადგომის მერე კი შეგიძლია იმდენი კვერცხი აიღო, რამდენიც გაგეხარდება. საქმე იმაშია, რომ სანამ პატარები ვართ და აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია, წითელი კვერცხებით ვერთობით. თუმცა, აღიარე, რომ ძალიან გიხარია აღდგომის დილის გათენება. შეიძლება იმიტომ, რომ ახლადგამომცხვარი პასკის სუნი გაღვიძებს, ანდა, ერთი სული გაქვს, წითელ კვერცხებს როდის დაეპატრონები. ან, იქნებ იმიტომ, რომ ამ დღეს შენი ოჯახის ყველა წევრი განსაკუთრებულად კარგ ხასიათზეა, ბევრად უფრო კეთილები და ყურადღებიანები არიან, ვიდრე ჩვეულებრივ. უფროსები ერთმანეთს ურეკავენ, ანდა, მეზობლებს და ნაცნობებს შეხვედრისთანავე ეუბნებიან – ქრისტე აღდგა! ისინი კი გაღიმებულები მიაძახებენ: – ჭეშმარიტადო.

მართლმადიდებლები ფიქრობენ, რომ ...

ამ დროს, ჩვენ, ბავშვები კვერცხებით ხელში დავრბივართ და ვცდილობთ, ყველა სხვა კვერცხი გავტეხოთ. ძალიან ყურადღებით ვამოწმებთ კვერცხის წაგრძელებულ თავს, კბილებზე ვიკაკუნებთ და ვარკვევთ, რამდენად მაგარია ჩვენი კვერცხის ნაჭუჭი. მოკლედ, აღდგომა შეჯიბრებად გადაიქცევა ხოლმე; ყველაზე კარგი კვერცხი უნდა აირჩიო, რომლითაც დანარჩენი ბავშვების კვერცხების "დამარცხებას" შეძლებ; ეცადე, კარგად დაუმიზნო და გვერდით არ ჩაურტყა.

მთავარია, არ გამოგრჩეს ამ შეჯიბრების "უსამართლო" მონაწილეები, მათ შეუძლიათ ყველა კვერცხის ნაჭუჭი ჩაამტვრიონ. არა იმიტომ, რომ მათი კვერცხი ყველაზე კარგია, არამედ იმიტომ, რომ ის საერთოდაც, ხისაა!!! დიახ, ზოგიერთი ბავშვი ხის კვერცხებით ცდილობს გამარჯვებას. მე რამდენიმე წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ერთი შეხედვით მივმხვდარიყავი, მოწინააღმდეგის კვერცხი ხის იყო თუ ნამდვილი. ჯერ ერთი, ხის კვერცხს უცნაური ფერი აქვს, ოდნავ ხელოვნური, რომელიც საერთოდ არ ჰგავს ენდროთი შეღებილს. კიდევ, ხის კვერცხებს ფორმაც არაბუნებრივად დახვეწილი და მომრგვალებული აქვთ, ასე რომ, არ შეცდეთ!

აღდგომის დამთავრებისას შესაძლოა ისე შეგიყვარდეთ თქვენი ყველაზე ლამაზი და ძლიერი კვერცხები, რომ მათი შეჭმა დაგენანოთ და შენახვაც კი გადაწყვიტოთ.

ერთხელ ასეთი შეცდომა მე და ჩემმა დამაც დავუშვით. ჩვენი კვერცხები ლამაზ ყუთში ჩავალაგეთ და საწოლის ქვეშ დავმალეთ, უფროსებს რომ არ ეპოვათ. ყოველ საღამოს ყუთს ვნახულობდით და კვერცხებს ვათვალიერებდით ხოლმე. რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვენს ოთახში ძალიან ცუდი სუნი იდგა, თუმცა, ვერ ვხვდებოდით, რომ ამის მიზეზი გაფუჭებული კვერცხები იყო. მოკლედ, ჩვენმა მშობლებმა საიდუმლო ყუთი იპოვეს და დაძველებული კვერცხები გადაყარეს. ასე რომ, ნამდვილად არ გირჩევთ საღდგომო კვერცხების შენახვას და მათი ცქერით დატკბობას. აჯობებს, შემდეგ აღდგომას დაელოდოთ და ისევ იმხიარულოთ, ეს დღესასწაული ხომ წელიწადში მხოლოდ ერთხელაა!

ციუკა ყიფშიძე.

დავით გურამიშვილი

დავითიანი

* დასასრული

ძმარში ნაღველი რიესო;
წმინდასა შენსა საღმრთოსა
გვერდსა ლახვარი მიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
მოგკლეს უბრალო ბრალითა,
ქვეყანა შეარყიესო,
მზე დანაბნელეს, მთვარეცა,
ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კრეტსაბმელი განაპეს
ბოლომდი შუა ხიესო.
ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგ-
გრაგნეს, ტილოში წაგახვიესო:
დაგმარხეს, მკვდარსაც არ
გენდვნენ, გარს მცველი შე-
მოგხვიესო.
ჰქმენ სულგრძელობა მათზე-
და და დასთმე შენ ჩვენთვი
ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!
ჰქმენ სულგრძელობა მათზე-
და
და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა
შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა
შენსა, უფალო იესო!
ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
არ ვიცი, რად ქნეს უგბილ-
თა,
ავი რა შეგაჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნევ-
დი
კეთროანს წყალ-მანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი
ცისცისად არჩენდი ეშმაკი-
ერსო.
უტყვს ენას ძღვნიდი, ყრუს-
სმენას,
საპყართა სლვას შვენიერსო,
პურს მცირეს დიდად,
წყალს ღვინოდ
უქცევდი, - ჭამე, სვი ესო.
ამის მეტს არას ეტყოდი
ესევდით ღმერთს ზეციერსო!
მშვიდად ცხოვრებდით,
ნუ უზამთ
ერთმანეთს თქვენ უდიერსო!
გაიკითხევდეთ გლახაკთა
ასმევ-აჭმევდით მშიერსო;
რასაც კეთილს იქთ ღმერთი
თქვენ მოგაგებთ მის მაგიერ-
სო!
ორსავ გზას წრფელს წინ
უდებდი: ხორციელს და
სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა
სიკვდილსა შეგამთხვიესო!
ჰქმენ სულგრძელება მათზე-
და
და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!
ჰქმენ სულგრძელება მათზე-
და
და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

მეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების იტიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

კვლავ გილოცავთ აღდგომის შრწყინვალე დღესასწაულს!

გილოცავთ!

ქრისტე აღდგა!

ჯვშნიკი

ანა ჩიტაშვილი

დაიბადა 2000 წლის 22 დეკემბერს, ცხოვრობს ოკამში, ჰყავს დედა, მამა და ძმა.

ანას უყვარს მუსიკა, მღერის, მუშაობს თექაზე, ქარგავს, მისი ლექსები იბეჭდება პირველად.

პატარა ფოთოლი

პატარა ფოთლის ნაზი შრიალი დღის დუმილს არღვევს
და ამ დღის ქარი პატარა ფოთოლს კუთხეში აგდებს...
ფოთოლი ჭკნება და იფერფლება, ... ბოლოს კი ფერფლი მიწას ერევა
დიდიხნის შემდეგ ამ ფოთლის ნაცვლად მიწაზე დიდი მუხა იზრდება.
ამ მუხის წვერზე, ყველაზე მაღლა პატარა ფოთოლს ქარი ვერ წვდება.

ზამთარი

ქარი ქროდა, დიდხანს ქროდა,
ხეებს ფერი აღარ ჰქონდა,
ფოთოლცვენა შემწყდარიყო
შემოდგომა აღარ იყო.
ზამთრის პირი მომდგარიყო,
ტყე თოვლისგან თეთრად იყო,
თითქოს სადღაც წასულიყო...
ზამთრის ყინვას მიემალა
შავ ღრუბელში ჩაიმალა,
მერე მთვარემ მზე შეცვალა
და მის ნაცვლად აკაშკაშდა.
ქარი ქროდა, დიდხანს ქროდა
ხეებს ფერი აღარ ჰქონდა.

სპორტი

საერთაშორისო ტურნირი

27, 28 და 29 მარტს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ოთარ ცანავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობა კასპელმა სპორტსმენებმაც მიიღეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს / უფროსი მწვრთნელი თეიმურაზ გაბოძე/. გამარჯვებული სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და თასებით დააჯილდოვეს.

I ადგილი; ედი ბუღულაშვილი 69 კგ.

II ადგილი; დანიელ მარქარაშვილი 63 კგ.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ფოტო-მესტვინე „ვხვლიგვნთავლი„ იძიებს ხვინტერესო სურათებს რეიონის ხვგვზეთი ფოტო-მესტვინის შეხვაქმნელოვლ. თხოვნით მივმართავთ თვნხრეიონელებს - ლოტოვეთ თქვენი ყველი ჩვენს მესტვინეში! გამოგვიგზავნეთ ხვინტერესო ლა ხვხვლიხეთ ფოტოები!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „ კოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საპაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76